

შ.პ.ს. “სასწავლო ცენტრი მერმისი”

2015-16 ს. წ.


შ.პ.ს. სასწავლო ცენტრი-მერმისის სასკოლო სასწავლო გეგმა

თავი I შესავალი

მუხლი1. შესავალი


1. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესების, ახალი იდეების დანერგვის, ადამიანური და მატერიალური რესურსის ოპტიმალური გამოყენებისაკენ.
2. ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპი - შედეგზე ორიენტირება, წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპს.
3. სწორედ ამიტომ, სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით. ეს არსებითი მოთხოვნა აისახება საგნობრივი პროგრამების სამნაწილიან სტრუქტურაში:

საგნობრივი პროგრამების სტრუქტურა



4. საგნობრივი პროგრამების ზოგადი ნაწილი განსაზღვრავს საგნის სწავლების ამოცანებს და იმ ძირითად ორიენტირებს, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარეობს.
5. საგნობრივი სტანდარტი განსაზღვრავს კონკრეტულ საგნობრივ კომპეტენციებს, რომელთაც უნდა დაეუფლონ მოსწავლეები დასახული მიზნების მისაღწევად. საგნობრივ სტანდარტში აღწერილი კომპეტენციები მოიცავს სამი კატეგორიის ცოდნას: ა) დეკლარატიულს, ანუ სტატიკური ხასიათის ცოდნას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ცოდნის პროცედურულად გამოყენებას. დეკლარატიულია მოსწავლის ცოდნა, თუ მან იცის კონკრეტული მათემატიკური ოპერაციის წარმოების წესი, თუმცა ვერ იყენებს მას; ბ) პროცედურულს ანუ დინამიურ ცოდნას, რომელიც ცოდნის გამოყენების, რეალიზების საშუალებას იძლევა; პროცედურულია მოსწავლის ცოდნა, თუ ის ასრულებს მათემატიკურ ოპერაციას. პროცედურული ცოდნის ათვისება მრავალჯერადი გავარჯიშების გზით ხდება და გ) პირობისეულ ცოდნას, ანუ ფუნქციურ ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას. პირობისეულია მოსწავლის ცოდნა, თუ მას შეუძლია დასმული ამოცანის ამოსახსნელად შეარჩიოს სათანადო მათემატიკური ოპერაცია.

6. ცოდნის სამი კატეგორია



7. საგნობრივი პროგრამების ძირითადი ნაწილის - სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება. მასში სწავლების მიზნები ჩამოყალიბებულია კონკრეტული შედეგების სახით, ანუ იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების სახით, რომლებიც უნდა წარმოაჩინოს მოსწავლემ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. სტანდარტით განსაზღვრული შედეგებისა და ინდიკატორების სახით მასწავლებელს ეძლევა კონკრეტული მითითება იმის შესახებ, თუ როგორ და რა კუთხით უნდა დაამუშავებინოს

მოსწავლეებს ჩამონათვალში მოცემული შინაარსობრივი საკითხები. ის ერთგვარი გზამკვლევაა, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი, რათა მოსწავლეებმა ცოდნა გააზრებულად და საფუძვლიანად შეიძინონ.

8. პროგრამის შინაარსი წარმოადგენს სავალდებულო და სარეკომენდაციო სასწავლო საკითხების ჩამონათვალს.
9. სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი №1 02.09 2015 წ.)

თავი II საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

მუხლი 2. სასწავლო წლის კალენდარი

- 2.1. სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები.
- 2.2. სასწავლო წლის დაწყების თარიღად 2015-16 სასწავლო წელს II-XII კლასისათვის განისაზღვროს 14 სექტემბერი, ხოლო პირველი კლასისათვის - 20 ოქტომბერი.
- 2.3. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ექვს დღიანი სწავლება.
- 2.4. გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით, გამონაკლისს წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთია.
- 2.5. გაკვეთილებს შორის შესვენება არის 5 წუთი, მესამე და მეოთხე გაკვეთილებს შორის შესვენება 15 წუთია.

მუხლი 3. მოსწავლეთა რაოდენობა კლასში

- 3.1 კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 30 მოსწავლით.
- 3.2. კლასში მოსწავლეთა მინიმალური ზღვარი შეიძლება იყოს - 1.
- 3.3. მცირეკონტიგენტიან კლასებში დასაშვებია კლასკომპლექტების შექმნა მუსიკის, ხელოვნების, სპორტის გაკვეთილებზე.

მუხლი 4. სკოლის საერთო კულტურა

- 4.1. სკოლაში დაცული უნდა იქნას ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპები.
- 4.2. სკოლა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის თანამშრომლობითი და შემოქმედებითი გარემოს შექმნას.
- 4.3. სკოლა ხელს უწყობს სპორტულ, სახელოვნებო, საკლუბო აქტივობებსა და სასკოლო პროექტებს, რომლებშიც მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები იქნებიან ჩართულნი.

თავი III სასკოლო სასწავლო გეგმა

მუხლი 5. სასკოლო სასწავლო გეგმის დანიშნულება და შემადგენელი ნაწილები

- 5.1 სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას.
- 5.2. სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას.
- 5.3. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით.
- 5.4. აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული საათობრივ დატვირთვას;
- 5.5 განსაზღვრავს დამატებით საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურებას.
- 5.6 . გეგმავს სასკოლო-საგანმანათლებლო დონისძიებებს.

მუხლი 6. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

- 6.1. სკოლის მისია;
- 6.2. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების, ჩამონათვალი და აღწერილობა;
- 6.3. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
- 6.4. სასკოლო საათობრივი ბადე;
- 6.5. სასწავლო მასალა, მათ შორის გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასებისა და საგნების მიხედვით;
- 6.6. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთათვის. (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);
- 6.7. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც განსაზღვრავს ვადებს და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისათვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისათვის და სხვ.
- 6.8. დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა.

მუხლი 7. სკოლა კლასის დამრიგებლების მეშვეობით პირველ კრებაზე ახდენს სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას მშობლებისათვის.

მუხლი 8. სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე

www.mermisishool.edu.ge და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

მუხლი 9. სკოლის მისია.

სკოლა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი, ტოლერანტი, პატრიოტი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. განუვითაროს მოზარდს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, მისცეს საჭირო ცოდნა, დაამკვიდროს ჯანსაღი ცხოვრების წესი, მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება და დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

სკოლის მისიაა სასკოლო საზოგადოებას (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი) ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციის გამო შესთავაზოს განსხვავებული სერვისი:

- 1) გახანგრძლივებული სწავლება 18.00 საათამდე გაკვეთილების ადგილზე მოსამზადებლად I-VIII კლასში;

2) ორჯერადი კვება

3) ინგლისური ენის და მათემატიკის გაძლიერებული სწავლება;

4) მეორე უცხო ენის (რუსულის) სწავლება მესამე კლასიდან;

5) ჭადრაკის წრე პირველი-მეოთხე კლასებში;

6) სწავლების საშუალო საფეხურზე სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში დამატებითი საათების შეთავაზება წრეების სახით.

7) საცურაო აუზის მომსახურება.

მუხლი 10. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა

სკოლის მისიიდან გამომდინარე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ბადის ზემოთ შემდეგ მომსახურებას:

დაწყებითი საფეხური

კლასი	I	II	III	IV	V	VI
საგანი						
მათემატიკა	0.5	-	1	1	1	1
ინგლისური ენა	3	2	2	2	2	2
რუსული	-	-	2	2		

საბაზო - საშუალო საფეხური

კლასი	VII	VIII	IX	X	XI
საგანი					
ინგლისური ენა	2	2	3	3	3
მათემატიკა	1	1	1		1

ჯამი	3	3	11

ეროვნული სასწავლო გეგმის ბადის ზემოთ საათების გაზრდა ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

მუხლი 11. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა.

სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფები პირველიდან მერვე კლასის ჩათვლით მომდევნო დღის გაკვეთილების მოსამზადებლად, საგნობრივი წრეები და ინტერესები მოსწავლეებისათვის, საგნის უკეთ შესწავლისათვის წრეობრივი სახით ისწავლება ჭადრაკი I, II, III, IV კლასებში, კვირეული 2 აკადემიური საათი კლასისათვის. ასევე, სკოლაში არჩევით სახით ისწავლება ჭადრაკი II კლასში (ელექტრონული ვერსია).

წრეობრივი სახით მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია ქართული ხალხური ცეკვა.

მუხლი 12. სასკოლო საათობრივი ბაღე დაწყებითი საფეხური

კლასი						I	II	III	IV	V	VI
სახელმწიფო ენა											
ქართული ენა და ლიტერატურა						7	7	6	6	5	5
მათემატიკა											
მათემატიკა						5	5	6	6	5	5
უცხოური ენები											
პირველი უცხოური ენა(ინგლისური)						5	5	5	5	5	5
მეორე უცხო ენა(რუსული)								2	2	2	2
საზოგადოებრივი მეცნიერებები											
ჩვენი საქართველო										3	3
სამოქ. თავდაცვა და უსაფრთხოება									0.5		
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები											
ბუნებისმეტყველება						2	2	3	3	3	3
ტექნოლოგიები											
ისტ						0.5				1	1
ესთეტიკური აღზრდა											
სახ. და გამოყენებითი ხელოვნება						2	2	1	1	1	1
უსიკა						2	2	1	1	1	1
სპორტი											
შპორტი						2	2	2	2	1	1
სულ საათ. რაოდენობა კვირაში						25.5	25	26	26.6	27	27

საბაზო და საშუალო საფეხური

კლასი	VII	VIII	IX	X	XI	XII		
						პროგრამული	აბიტური	
სახელმწიფო ენა								
ქართული ენა და ლიტ.	5	5	5	5	5	5	5	1
მათემატიკა								
მათემატიკა	5	5	5	5	6	5	5	1
უცხოური ენები								
პირველი უცხოური ენა(ინგლისური)	5	5	5	5	5	2	2	2
მეორე უცხოური ენა(რუსული)	2	2	2	2	1	2		
საზოგადოებრივი მეცნიერებები								
ისტორია	3	3	3	2	2	2		1
გეოგრაფია	2	2	2	2	2			1
სამოქალაქო განათლება			2	2				
სამოქ. თავდ. და უსაფრთხოება		0,5				0,5		
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები								
საბ. მეცნიერებების საფ-ბი	3							
ბიოლოგია		2	2	3	2			1
ფიზიკა		2	3	2	2			1
ქიმია		2	2	2	3			1
თექნოლოგიები								
ისტ								
ესთეტიკური აღზრდა								
სახ. და გამოყენებითი ხელ.	1	1	1					
მუსიკა	1	1	1					
სპორტი								
სპორტი	1	1	1	1	1	1	1	
არჩევითი საგნები								
1.მეწარმეობის საფუძვლები 2. ეკონომიკა და სახელმწიფო 3. ხაზვა				1 1	1 1	1		
სულ საათ. რაოდ. კვირაში	28	31.5	34	33	31	18.5		9
სულ საათ. რაოდ. კვირაში								

მუხლი 13. სასკოლო მასალის ჩამონათვალი, მათ შორის გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასებისა და საგნების მიხედვით.

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებელთათვის.
2. სკოლას შემუშავებული აქვს და მოსწავლეებს აცნობს სკოლაში არსებული რესურსით სარგებლობის წესებს;
3. სკოლის საგანმანათლებლო რესურსებია:
 - ა) ბიბლიოთეკა;
 - ბ) გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები;
 - გ) დამხმარე ლიტერატურა;
 - დ) კომპიუტერული ლაბორატორია;
 - ე) საგნობრივი ლაბორატორიები და კლას-კაბინეტები;
 - ვ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.)
 - ზ) გარე რესურსები (ბუნებრივი გარემო, ისტორიული ძეგლები, მუზეუმები და სხვ.)

გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოები არჩეულია მასწავლებლების მიერ და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.
4. შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო სკოლაში მოქმედებს მინიმუმ 6 წლის განმავლობაში. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:
 - ა) ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელდება არსებითი ცვლილება, რომელიც სახელმძღვანელოების შეცვლას მოითხოვს;
 - ბ) სახელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩამოერთმევა გრიფი.
5. მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევაში სკოლა თავიდან შეარჩევს შესაბამისი კლასისა და საგნის სახელმძღვანელოს დადგენილი წესის შესაბამისად.
6. სკოლის ყველა პარალელში ისწავლება ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი;
7. სახელმძღვანელოების შერჩევისას გათვალისწინებულია „გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების კატალოგის“ მეშვეობით მომზადებული სახელმძღვანელოების შეფასებები. ამასთან, მასწავლებლებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ სახელმძღვანელოების ეგზემპლარებს.
სკოლაში შერჩეული და პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოების ნუსხა იკვრება თვალსაჩინო ადგილზე სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

გრიფირებულ სახელმძღვანელოთა სია

I-XII კლასები

	საგანი	ავტორები	გამომცემლობა	გამოც. წელი	კლასი
1	ქართული ენა და ლიტერატურა	ვ. როდონაია, მ. მირიანაშვილი	შ.პ.ს. საგამომცემლო სახლი "სწავლებანი"	2012	I-XII
2	მათემატიკა	გ.გოგიშვილი თვეფხვაძე	გამ."ინტელექტი"	2012	I-XII
4	ბუნებისმეტყველება	გ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი	შ.პ.ს. "ბაკურ სულაკაური"	2012	I-VI
5	საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლები	მ. მაყაშვილი, რ. ქუთელია, ი. გიბერია, მ. ბოჭორიშვილი	შ.პ.ს. "ბაკურ სულაკაური"	2012	VII
6	სახ. და გამოყენ. ხელოვნება	ნ. მაჭარაშვილი, მ. მაჭარაშვილი	შ.პ.ს."გამომცემ. მერიდიანი"	2012	I-VI

7	სახ. და გამოყენებითი ხელოვნება	ნ. კუნჭულია, მ. მესაშიშვილი, ნ. მიქაბერიძე	შ.პ.ს. გამომცემლობა "დიოგენე"	2012	VII-IX
8	ინგლისური ენა დ1; დ2; დ3; დ4; დ5; დ6.	მერი ოუენი, იზ ოკინგი	" მაკმილან"	2012	I-VI
9	ინგლისური ენა	აროლინ რამზ, რიჯი ვინგი, ...	ხფორდ ნივერსიტე რესს	2012	VII-IX
10	ინგლისური ენა ექტივატე 2 ექტივატე 1 ექტივატე 1+	ჟონა თეილორ - ნოუელს, კაროლინ არაცპოუგკ, ლეინე ოყოლ, ...	ხფორდ უნივერსიტე რესს	2012	X-XII
11	რუსული ენა	ბარსეგოვა	არტანუჯი	2012	III-IV
12	რუსული ენა	მაია ლორთქიფანიძე, ი. ჩხეიძე, თ. ჩიმაკაძე.	შ.პ.ს. გამომცემლობა "არტანუჯი"	2012	VII-XII
13	მუსიკა	მ. ჩიკვაძე,	შ.პ.ს. "ინტელექტი"	2012	I-IX
14	ისტორია	ლ. ფირცხალავა,გ. სანიკიძე, გ. გორდენიანი	შ.პ.ს. "ბაკურ სულაკაური"	2012	VII-XII
15	გეოგრაფია	მ. ბლიაძე, გ. ჭანტურია, დ. კერესელიძე ზ. სეფერთელაძე	შ.პ.ს. "ბაკურ სულაკაური"	2012	VII-XI
16	ქიმია	მ. ვარდიანი	შ.პ.ს. გამომცემ. "ინტელექტი"	2012	VIII-XI
17	ფიზიკა	გ. გედენიძე ე. ლაზარაშვილი	შ.პ.ს. გამომცემ.-"ინტელექტი"	2012	VIII-XI
18	ბიოლოგია	ე. ზაალიშვილი, თ. იოსებაშვილი	შ.პ.ს. საგამომცემლო სახლი "ტრასი"	2012	VIII-XI
19	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	ნ. ჯამასპიშვილი	შ.პ.ს. გამომცემლობა "დიოგენე"	2012	V; VI
20	ჩვენი საქართველო	მ. სურგულაძე და სხვები	შ.პ.ს. "ლოგოს პრესი"	2012	V;VI
21	სამოქალაქო განათლება	ტალახაძე, ქალდანი...	გამ."სიდი"	2012	IX-X
22	სამოქ. თავდაცვა და უსაბრთხ.	ნ. ტალახაძე	"სიდი" ეკონომიკური განათლება	2012	IV;VIII; XII;
23	საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება	ნ. სააკაშვილი	შ.პ.ს. "მგვ"	2011	XI

თავი IV. მოსწავლის შეფასების სისტემა

მუხლი 14. მოსწავლის შეფასების მიზანი,პრინციპები და მიდგომები

1. სკოლაში შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს ერთის მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ სწავლის ხარისხის გაკონტროლებას. პირველი დაკავშირებულია სწავლის პროცესთან, მეორე - შედეგთან. სკოლაში აკადემიური მიღწევის შეფასება ხშირია და მრავალმხრივი, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას.

2. მოსწავლე ფასდება სხვადასხვა ფორმით (ესე, პროექტი, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტი, წარმოდგენა, წერიტი დაგალება, ტესტირება და სხვ).

3. მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.

4. სასწავლო აქტივობების შეფასების რუბრიკები განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.

მუხლი 15. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

1. სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი, განმავითარებელი

2. განმსაზღვრელი, აღგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში, აკონტროლებს სწავლის ხარისხს; განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.

3. განმავითარებელი, რომლის მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, თითოეული მოსწავლის განვითარებისათვის სწავლების პროცესში ხელშეწყობა; მათი განვითარების დინამიკის გაკონტროლება. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, თვითშეფასებისა და ურთიერშეფასების სქემა, დაკვირვების ფურცელი და სხვა.

4. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
წარმართების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

მუხლი 16. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

1 მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით, ხუთი დონის მიხედვით.

2. I - IV კლასებში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა საკუთარი და სხვა მასწავლებლისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უნდა დაწეროს მოკლე, შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს გაგარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.

3. V-XII კლასებში მოსწავლეთა შეფასება ხუთდონიანია, ათბალიანი სისტემით.

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

4. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში;

5. საგანში „სპორტი“ და „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით (ჩაეთვალია/არ ჩაეთვალია);

6. დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება წლიური ქულის გამოთვლისას;

7. მოსწავლე „აბიტურის საათის“ ფარგლებში ფასდება მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით.

მუხლი 17. საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები

1 სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამ კომპონენტში:

ა) საშინაო დავალება; ბ) საკლასო დავალება; გ) შემაჯამებელი დავალება.

2. შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

3. საშინაო და საკლასო დავალებები ფასდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით.

4. სტანდარტის მოთხოვნა შესაბამისად ტარდება მრავალგვარი შემაჯამებელი დავალებები (თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, საველე-გასვლითი სამუშაო, ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და სხვ).

5. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. (სასკოლო საათობრივი ბადით განსაზღვრული).

6. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა აძლევს მას გაცდენილი დავალების აღდგენის საშუალებას.

7. შემაჯამებელი სამუშაოს აღდგენის წესი

სკოლაში გამოცხადებიდან ორი კვირის ვადაში, მოსწავლე ვალდებულია განცხადებით მიმართოს სკოლის დირექციას სამუშაოს აღდგენის თხოვნით და თანხმობის შემდეგ, შეასრულოს გაცდენილი შემაჯამებელი სამუშაო იგივე წესით, როგორც ის შეასრულა სხვა თანაკლასელმა, რომელიც ესწრებოდა იმ შემაჯამებელ სამუშაოს. საჭიროების შემთხვევაში (მოსწავლის თხოვნა ზეპირი ან წერილობითი ფორმით) მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეს გაუწიოს კონსულტაცია. შემაჯამებელი სამუშაოს თხოვნის განცხადება ინახება საგნის მასწავლებელთან. გაცდენილი შემაჯამებელი დავალება ანაზღაურდება სემესტრის დამთავრებამდე.

8. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია შეაგროვოს და შეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა. თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები.

მუხლი 18. განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

- ა) საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულები - საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- ბ) საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შეფასება მოცემულია შეფასების რუბრიკებში

სასწავლო ცენტრი - მერმისის საგნობრივი შეფასების რუბრიკები

ხელოვნება

საშინაო დავალება	საკლასო სამუშაო	შემაჯამებელი
თხრობა	თხრობა	ტესტი
რეფერატი	პრეზენტაცია	

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები:

თხრობა

- საუბრობს ტექსტში გამოთქმული მთავარი აზრის შესახებ, გამოხატავს საკუთარ პოზიციას და ამყარებს არგუმენტებით (2 ქულა);
- საუბრობს გამართული სალიტერატურო ენით და იყენებს შესაბამის ლექსიკას (2 ქულა);
- ადგენს და იყენებს მოკლე ჩანაწერს (გეგმა) (2 ქულა);
- საუბრობს თანმიმდევრულად და მხოლოდ კონკრეტულ თემაზე (2 ქულა);
- იცავს დროის ლიმიტს(2 ქულა);

რეფერატი

- ირჩევს თემას და ადგენს გეგმას (1 ქულა)
- აყალიბებს ძირითად პრობლემას, მთავარ აზრს (2 ქულა)
- მოიპოვებს და იყენებს დამხმარ მასალას/ლიტერატურეს; (2 ქულა)
- წერს შესაბამის ფორმატში (1 ქულა);
- ავლებს პარალელებს და აკეთებს დასკვნას (2 ქულა)
- გამოხატავს საკუთარ პოზიციას და ამყარებს არგუმენტებით (2 ქულა)

პრეზენტაცია

- თემა პასუხობს სათაურს (2 ქულა)
- საუბრობს გამართული სალიტერატურო ენით და მკაფიოდ აყალიბებს აზრს. იყენებს მიმიკას, ინტონაციას ფლობს აუდიტორიას (3 ქულა)
- მოიპოვებს და იყენებს განსხვავებულ წყაროებს, დამხმარე მასალას/ლიტერატურას, თვალსაჩინოებებს (3 ქულა)
- იცავს დროის ლიმიტს (2 ქულა)

შემაჯამებელი მუშაობის შეფასების რუბრიკა ფიზიკაში

შედეგები	1-2 ქულა დაბალი	3-4 ქულა საშუალოზე დაბალი	5-6 საშუალო	7-8 საშუალოზე მაღალი	9-10 მაღალი
ინფორმაციის გახსენებაზე ორიენტირებული დავალებები (დახურული კითხვები)	არ იცის მასალა, შესაბამისად საერთოდ ვერ პასუხობს უმარტივეს კითხვებს	არ იცის მასალა, შესაბამისად ძნელად პასუხობს უმარტივეს კითხვებს	იცის, მაგრამ არამყარად; უჭირს დასაბუთება	ფლობს ინფორმაციას, აგრამ უშვებს გარკვეულ შეცდომებს	სრულყოფილად ფლობს ინფორმაციას, დასაბუთებს შედეგებს
ჩოდნის სიღრმეზე ორიენტირებული დავალებები (ღია კითხვები)	ვერ პასუხობს	პასუხობს, მაგრამ უშვებს მნიშვნელოვან შეცდომებს	უჭირს საკუთარი მოსაზრების დასაბუთება	ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს, მაგრამ უშვებს გარკვეულ შეცდომებს	სრულყოფილად დასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს
წერით სამუშაოებში ცოდნისა და უნარ- ჩვევების გამომჟღავნების უნარი	ვერ ასრულებს დამოუკიდებლად წერით დავალებებს	უჭირს დამოუკიდებლად წერით დავალებების შესრულება	ცდილობს მაქსიმალურად გამომჟღავნოს თავისი ცოდნა	იყენებს ცოდნას გარკვეული შეცდომებით	სრულყოფილად გამომჟღავნებს თავისი ცოდნის დონას

ქიმია

საშინაო დავალება	საკლასო სამუშაო	შემაჯამებელი
ექსპერიმენტი	პრეზენტაციის	ტესტი
	ექსპერიმენტი	

წერითი დავალება	დამოუკიდებელი სამუშაო	საკონტროლო
-----------------	-----------------------	------------

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები

ექსპერიმენტი

- აკეთებს გეგმას (1 ქულა)
- გამოითვლის ექსპერიმენტით შესაძლო შედეგებს (აწარმოებს გამოთვლებს, გამოთქვამს ვარაუდებს) (3 ქულა)
- იცავს უსაფრთხოების ნორმებს, გეგმავს ექსპერიმენტს (2 ქულა)
 - იყენებს შესაბამის გრაფიკებს, სიმბოლოებს და ტერმინოლოგიას შედეგების გადმოსაცემად (1 ქულა)
- მსჯელობს ექსპერიმენტის შედეგებზე (აღწერს, აკეთებს დასკვნას) (3 ქულა)

დამოუკიდებელი სამუშაო

- ავლენს დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, პოულობს პრობლემის გადაჭრის მართებულ გზას (3 ქულა)
- სიზუსტით აღწევს დასახულ მიზანს (4 ქულა)
- იცავს წერის კულტურას (2 ქულა)
- იცავს დროის ლიმიტს (1 ქულა)

პრეზენტაცია

- თემა პასუხობს სათაურს (2 ქულა)
- საუბრობს გამართული სალიტერატურო ენით და მკაფიოდ აყალიბებს აზრს. იყენებს მიმიკას, ინტონაციას ფლობს აუდიტორიას (3 ქულა)
- მოიპოვებს და იყენებს განსხვავებულ წყაროებს, დამხმარე მასალას/ლიტერატურეს, თვალსაჩინოებებს (3 ქულა)
- იცავს დროის ლიმიტს (2 ქულა)

წერითი დავალება

- ასრულებს სავარჯიშოებს სრულყოფილად (4 ქულა)
- პოულობს პრობლემის გადაჭრის მართებულ გზას (4 ქულა)
- იცავს წერის კულტურას (2 ქულა)

ბიოლოგია

ქულები	შეფასების დონეები
0-1-2	<ul style="list-style-type: none"> ➤ ვერ ასრულებს შემაჯამებელ დავალებებს. ➤ აუთვისებელი დარჩა განვლილი მასალის უმეტესობა.
3	<ul style="list-style-type: none"> ➤ დასახული მიზნების ნაწილი ელემენტარულ დონეზეა მიღწეული, ნაწილი მიუღწეველია.
4	<ul style="list-style-type: none"> ➤ განვლილი მასალის ნაწილი ათვისებულია ელემენტარულ დონეზე.
5	<ul style="list-style-type: none"> ➤ განვლილი მასალა დამაკმაყოფილებელ დონეზეა ათვისებული.
6	<ul style="list-style-type: none"> ➤ განვლილი მასალის ნაწილი ათვისებულია ელემენტარულ დონეზე, ნაწილი - საშუალო დონეზე.
7	<ul style="list-style-type: none"> ➤ განვლილი მასალა ათვისებულია საშუალო დონეზე, დასახული მიზნები მიღწეულია საშუალო დონეზე.
8	<ul style="list-style-type: none"> ➤ განვლილი მასალის ნაწილი ათვისებულია დამაკმაყოფილებელ დონეზე, ნაწილი - მაღალ დონეზე. ➤ დასახული მიზნის ერთი ნაწილი დამაკმაყოფილებელ დონეზეა მიღწეული, ნაწილი - მაღალ დონეზე.
9	<ul style="list-style-type: none"> ➤ განვლილი მასალის უმეტესობა ათვისებულია მაღალ დონეზე. ➤ დასახული მიზნის უმეტესობა მიღწეულია მაღალ დონეზე.
10	<ul style="list-style-type: none"> ➤ განვლილი მასალა ათვისებულია მაღალ დონეზე. ➤ დასახული მიზნი მიღწეულია მაღალ დონეზე.

შერეული ტიპის სავარჯიშოების შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	1-2	3-4	5-6	7-8	9-10
<p><u>სააზროვნო უნარ - ჩვევები</u></p> <p>მიღებული ცოდნის შენარჩუნება, გაგება-გააზრება და ცოდნის აქტიური გამოყენება სხვადასხვა სიტუაციაში;</p>	<p>ვერ ახერხებს გაკვეთილზე ნასწავლი ცნებების და საკითხების ტრანსფერს.</p>	<p>ვერ ახერხებს გაკვეთილზე ნასწავლი ცნებების და საკითხების ტრანსფერს.</p>	<p>ხარვეზებით ახერხებს გაკვეთილზე ნასწავლი ცნებების და საკითხების ტრანსფერს.</p>	<p>ძირითადად ახერხებს გაკვეთილზე ნასწავლი ცნებების და საკითხების ტრანსფერს.</p>	<p>სრულფასოვნად</p>
<p><u>პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები.</u></p> <p>გარკვეული პრობლემის ამოსახსნელი პირობების, ხერხების ან დამხმარე საშუალებების მოფიქრება-მოძიება, შესაბამისი ინფორმაციის ამოკრება; შედეგების შემოწმება და შეფასება.</p>	<p>არ შეძლია ინფორმაციის ამოკრება, შემოწმება და შეფასება.</p>	<p>ვერ შეძლო შესაბამისი ინფორმაციის ამოკრება, შემოწმება და შეფასება.</p>	<p>სწორად გაიგო პრობლემის ამოსახსნელი პირობა, მაგრამ ხერხების მოფიქრება გაუჭირდა.</p>	<p>ნაწილობრივ შეძლო პრობლემის ამოსახსნელი პირობების, ხერხების, საშუალებების მოძიება და გამოყენება.</p>	<p>სრულფასოვნად</p>
<p><u>კვლევის უნარ-ჩვევები.</u></p> <p>მონაცემთა შეგროვების სწორი გზის არჩევა. გრაფიკებიდან, სქემებიდან, ცხრილებიდან და დიაგრამებიდან საჭირო ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება</p>	<p>ვერ იყენებს გრაფიკებს, სქემებს, ცხრილებს და დიაგრამებს</p>	<p>ნაწილობრივ იყენებს გრაფიკებს, სქემებს, ცხრილებს და დიაგრამებს</p>	<p>მონაცემთა შეგროვების სწორი გზა აირჩია. მაგრამ ვერ შეძლო ინფორმაციის სრული მოპოვება</p>	<p>მონაცემთა შეგროვების სწორი გზა აირჩია. ნაწილობრივ შეძლო ინფორმაციის მოპოვება</p>	<p>სრულფასოვნად</p>
<p><u>სოციალური უნარ- ჩვევები.</u></p> <p>პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აგება, სამუშაოს ან ამოცანის შესაბამისად</p>	<p>სამუშაო ან ამოცანა არ არის შესრულებული.</p>	<p>სამუშაო ან ამოცანა ნაწილობრივ შესრულებულია.</p>	<p>პასუხისმგებლობით მოეკიდა სამუშაოს. ამოცანა ან სამუშაო ნაწილობრივად</p>	<p>პასუხისმგებლობით მოეკიდა სამუშაოს. ამოცანა ან სამუშაო კარგად არის</p>	<p>სრულფასოვნად</p>

შესრულება.			არის შესრულებული.	შესრულებული.	
კომუნიკაციის უნარ-ჩვევები თანამედროვესაინფორმაციოდას აკომუნიკაციოტექნოლოგიების გამოიყენება	არ იყენებს	არ იყენებს	იყენებს	კარგად იყენებს	სრულფასოვნად
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები ახლებურიკავშირებისადაშეხამე ბებისპოვნა.	არ გამოუვლენია	არ გამოუვლენია	არ გამოუვლენია	ნაწილობრივ გამოავლინა	სრულფასოვნად

პროექტის შეფასების რუბრიკა

თარიღი კვლევითი პროექტი								
:								
ქულა	შეფასების კრიტერიუმები							
	1.პროექტის მიზანი	2.კვლევის გეგმის შემუშავება	3.საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება	4.კვლევის ჩატარება	5.მონაცემების აღრიცხვა	6.ანალიზი და დასკვნის გაკეთება	7.პრეზენტაცია	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა
	0-1	0-1	0-1	0-2	0-1	0-2	0-2	10

1-2	1	0	1	0	0	0	1	3
3-4	1	0	1	0	1	0	1	4
5	1	1	1	0	1	0	1	5
6	1	1	1	1	0	1	1	6
7	1	1	1	1	1	1	1	7
8	1	1	1	1	1	1	2	8
9	1	1	1	2	1	1	2	9
10	1	1	1	2	1	2	2	10

ზეპირიშემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა

	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
იცავს დროის ლიმიტს	0 - 1
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა)	0 - 0,5 - 1
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანამიმდევრულად ავითარებს მას	0 - 1- 2
მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები	0 - 1-2
გამოაქვს ადეკვატური დასკვნა	0 - 1
ენობრივი უნარ-ჩვევები	
ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (მაგ., შესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა	0-1

დონეს და ა.შ.)	
იყენებს მსჯელობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ. განკერძოებულ სიტყვებს, გამოთქმებს, ჩართულს, პირობით-შედეგობით კონსტრუქციას და ა.შ.)	0 - 1
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები	0 - 1
ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10	

მათემატიკა

საკლასო სამუშაოს შეფასების სქემა

კრიტერიუმი	10-9 მაღალი	8-7 საშუალოზე მაღალი	6-5 საშუალო	4-3 საშუალოზე დაბალი
საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის აქტიურობა, მოსმენის კულტურა, მობილიზება, ეთიკური ნორმების დაცვა	გაკვეთილზე აქტიურია, ყურადღებით უსმენს მოსაუბრეს, იცავს ეთიკურ ნორმებს	გაკვეთილზე უმეტესად აქტიურია, მობილიზებული, უსმენს მოსაუბრეს, იცავს ეთიკურ ნორმებს	გაკვეთილში ჩართულია ნაწილობრივ, უჭირს ყურადღების კონცენტრირება, იშვიათად უსმენს მოსაუბრეს, ვერ იცავს ეთიკის ნორმებს	საგაკვეთილო პროცესში ნაწილობრივია ჩართული, უჭირს ყურადღების კონცენტრირება, ეთიკის ნორმებს
წაკითხული ინფორმაციის შეჯამების უნარი, ჯგუფში მუშაობა, თანამშრომლობა	კარგად ახერხებს შეჯამოს, გააანალიზოს წაკითხული ინფორმაცია, ჯგუფის მუშაობაში შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი, თანამშრომლობს ჯგუფის სხვა წევრებთან	კარგად ახერხებს შეჯამოს წაკითხული ინფორმაცია, ჯგუფის მუშაობაში შეაქვს წვლილი, თანამშრომლობს ჯგუფის სხვა წევრებთან	ნაწილობრივ ახერხებს შეჯამოს წაკითხული ინფორმაცია, ჯგუფის მუშაობაში ზოგჯერ შეაქვს წვლილი, თანამშრომლობს ჯგუფის სხვა წევრებთან	ნაწილობრივ ახერხებს შეჯამოს წაკითხული ინფორმაცია, არ თანამშრომლობს სხვა წევრებთან
დისკუსიაში მონაწილეობა, კითხვების დასმა და დასმულ კითხვებზე პასუხი, კამათის	აქტიურად მონაწილეობს დისკუსიაში, დასმული კითხვები მიზნობრივი და შინაარსიანია, კითხვებზე პასუხობს დასაბუთებულად.	მონაწილეობს დისკუსიაში, დასმული კითხვები მიზნობრივი და შინაარსიანია, პასუხობს კითხვებზე დასაბუთებულად. იცავს	მონაწილეობს დისკუსიაში, დასმული კითხვები ზოგჯერ არამიზნობრივი და უშინაარსოა, ვარ იცავს კამათის წესებს	ან არ მონაწილეობს დისკუსიაში, ან დასმული კითხვები უმეტესად არამიზნობრივი და უშინაარსოა. არ იცავს

წესების დაცვა	იცავს კამათის წესებს	კამათის წესებს		კამათის წესებს
საკუთარი მოსაზრების გამოთქმა ფაქტებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით. საკითხის კონკრეტულობა	კარგად ახერხებს საკუთარი მოსაზრების გამყარებას არამხოლოდ ფაქტებითა და არგუმენტებით, არამედ პარალელებითა და ანალიზით. საკითხის დასმისას კონკრეტულია	ახერხებს საკუთარი მოსაზრების გამყარებას ფაქტებითა და არგუმენტებით, საკითხის დასმისას კონკრეტულია	ახერხებს საკუთარი მოსაზრების გამყარებას მწირი ფაქტებითა და არგუმენტებით, საკითხის დასმისას არაკონკრეტულია	ნაწილობრივ ახერხებს საკუთარი მოსაზრების გამყარებას მწირი ფაქტებითა და არგუმენტებით, საკითხის დასმისას არაკონკრეტულია

საშინაო დავალების შეფასების სქემა

კრიტერიუმი	10-9 მაღალი	8-7 საშუალოზე მაღალი	6-5 საშუალო	4-3 საშუალოზე დაბალი
მათემატიკური ცნებებისა და დებულებების გამოყენება	სწორად დაეფექტურად იყენებს ყველა მათემატიკურ ცნებასა და დებულებას	იყენებს ყველა მათემატიკურ ცნებასა და დებულებას	იყენებს მათემატიკური ცნებებისა და დებულებების ნაწილს	არაადეკვატურად იყენებს მათემატიკურ ცნებასა და ტერმინებს
კავშირებისა და მიმართებების დადგენა	სწორად და ეფექტიანად აღწერს და იყენებს კავშირის სხვადასხვა მათემატიკურ ობიექტებსა თუ პროცედურებს შორის	აღწერს და იყენებს კავშირის სხვადასხვა მათემატიკურ ობიექტებსა თუ პროცედურებს შორის	აღწერს კავშირის სხვადასხვა მათემატიკურ ობიექტებსა თუ პროცედურებს შორის	ამოიცნობს ორ განსხვავებულ ფორმად წარმოდგენილ, მათემატიკურ ობიექტებს
ამოცანის ამოხსნის გზა და მისი რეალიზება	კომპლექსურ (რთულ) პრობლემას ყოფს საფეხურებად, მარტივ ამოცანებად და ჭრის ეტაპობრივად (ამოხსნა), მათ შორის სტანდარტული მიდგომებისა და პროცედურების გამოყენებით	კომპლექსურ (რთულ) პრობლემას ნაწილობრივ ყოფს საფეხურებად, მარტივ ამოცანებად და ჭრის ეტაპობრივად (ამოხსნა), მაგრამ ხარვეზებით	ჭრის მარტივ მათემატიკურ პრობლემას სტანდარტული მიდგომებისა და პროცედურების გამოყენებით	სრულად ვერ აღწერს დავალების შინაარსს და უჭირს მარტივი მათემატიკური პრობლემის გადაჭრა
გამოთვლები	პრობლემის გადაჭრისთვის ირჩევს და იყენებს გამოთვლების ოპტიმალურ ხერხს, გამოთვლები სწორია	პრობლემის გადაჭრისთვის ირჩევს გამოთვლების რაიმე გზას, გამოთვლები ძირითადად სწორია	გამოთვლები შეიცავს ტექნიკურ ხარვეზს	პრობლემის გადაჭრისთვის ირჩევს გამოთვლების ძირითად ნაწილს, გამოთვლები რეალიზება ნაწილობრივ არასწორია

შესასრულებელი სამუშაოს ვადები და მოცულობა	კეთილსინდისიერად ასრულებს დავალებებს ვადებისა და რაოდენობის გათვალისწინებით	ასრულებს დავალებებს ვადებისა და რაოდენობის გათვალისწინებით	უმეტესად ასრულებს დავალებებს ვადებისა და რაოდენობის გათვალისწინებით	უმეტესად ასრულებს დავალებებს, დავარასრულყოფილ
---	---	--	---	---

შემაჯამებელი სამუშაოს შეფასების სქემა

კრიტერიუმი	10	9	8	7	6	5
მათემატიკური ობიექტებისა და ენის გამოყენება	სრულყოფილად იყენებს ამოცანის ამოსახსნელად საჭირო ყველა ცნებას, დებულებას და აღნიშვნას, ირჩევს მონაცემთა ორგანიზებისა და წარმოდგენის ოპტიმალურ ფორმას	იყენებს ამოცანის ამოსახსნელად საჭირო ყველა ცნებას, დებულებას და აღნიშვნას, ირჩევს მონაცემთა ორგანიზებისა და წარმოდგენის ოპტიმალურ ფორმას	უმეტეს შემთხვევაში იყენებს ამოცანის ამოსახსნელად საჭირო ცნებების, დებულებებისა და აღნიშვნების უმეტესობას, ახდენს მონაცემთა ორგანიზებას და წარმოდგენას	ნაწილობრივ იყენებს ამოცანის ამოსახსნელად საჭირო ცნებების, დებულებებისა და აღნიშვნების უმეტესობას, ნაწილობრივ ახდენს მონაცემთა ორგანიზებას და წარმოდგენას	იყენებს ამოცანის ამოსახსნელად საჭირო ზოგიერთ ცნებას, ტერმინსა და აღნიშვნას, ნაწილობრივ, თუმცა არაორგანიზებულად წარმოადგენს მონაცემებს	ზოგიერთ ამოსახსნელად საჭირო ცნებებს, აღნიშვნებს, არაწარმოდგენს
კავშირები და მიმართებები	ყოველთვის სრულყოფილად აღწერს კავშირს სხვადასხვა მათემატიკურ ობიექტებსა თუ პროცედურებს შორის	თითქმის ყოველთვის აღწერს კავშირს სხვადასხვა მათემატიკურ ობიექტებსა თუ პროცედურებს შორის	კარგად აღწერს კავშირს სხვადასხვა სტანდარტულ მათემატიკურ ობიექტებსა თუ პროცედურებს შორის	ნაწილობრივ აღწერს კავშირს სხვადასხვა სტანდარტულ მათემატიკურ ობიექტებსა თუ პროცედურებს შორის	ამოიცნობს ორ, განსხვავებული ფორმით წარმოდგენილ იდენტურ მათემატიკურ ობიექტს	ზოგიერთ ფორმით წარმოდგენილ იდენტურ მათემატიკურ ობიექტებს შორის
ამოცანის ამოხსნის გზა	ყოველთვის პოულობს ამოცანის ამოხსნის ოპტიმალურ გზას, ბოლომდე ახდენს მის რეალიზებას	თითქმის ყოველთვის ამოცანის ამოხსნის ოპტიმალურ გზას, ბოლომდე ახდენს მის რეალიზებას	პოულობს ამოცანის ამოხსნის გზას, მიჰყვება მას, თუმცა ხარვეზებით	უმეტეს შემთხვევაში პოულობს ამოცანის ამოხსნის გზას, მიჰყვება მას, თუმცა	პოულობს ამოხსნის რომელიმე გზას, იწყებს, მაგრამ ვერ ასრულებს ამოხსნას	ზოგიერთ ამოხსნის გზას, ვერ ასრულებს

				ხარვეზებით		
გამოთვლები	გამოთვლები ყოველთვის სწორია, არჩეული და გამოყენებული აქვს გამოთვლების ოპტიმალური ხერხი	გამოთვლები თითქმის ყოველთვის სწორია, არჩეული და გამოყენებული აქვს გამოთვლების ოპტიმალური ხერხი	გამოთვლები ძირითადად სწორია, თუმცა შეიცავს ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს	შეიცავს გამოთვლების ძირითად ნაწილს, რეალიზება სწორია	ასრულებს გამოთვლების უმეტეს ნაწილს, რეალიზება ნაწილობრივ არასწორია	შეიცავს მცირე რაოდენობის ნაწილს არასწორად

მოდელის შექმნა

- ირჩევს თემას და ადგენს გეგმას (1 ქულა)
- ასახავს რეალურ პროცესს (2 ქულა)
- სწორად იყენებს მათემატიკურ სიმბოლოებს და გამოთვლებს (2 ქულა)
- იყენებს შესაბამის გრაფიკებს და ტერმინოლოგიებს (2 ქულა)
- წარმოადგენს საკუთარ პოზიციას (2 ქულა)
- მსჯელობს შედეგებზე (1 ქულა)

პრეზენტაცია

- თემა პასუხობს სათაურს (2 ქულა)
- საუბრობს გამართული სალიტერატურო ენით და მკაფიოდ აყალიბებს აზრს. იყენებს მიმიკას, ინტონაციას ფლობს აუდიტორიას (3 ქულა)
- მოიპოვებს და იყენებს განსხვავებულ წყაროებს, დამხმარე მასალას/ლიტერატურას, თვალსაჩინოებებს (3 ქულა)
- იცავს დროის ლიმიტს (2 ქულა)

მუსიკა

საშინაო დავალება	საკლასო სამუშაო	შემაჯამებელი
თხრობა	დამოუკიდებელი სამუშაო	ტესტი
	პრეზენტაცია	საკონტროლო

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები

თხრობა

- საუბრობს ტექსტში გამოთქმული მთავარი აზრის შესახებ, გამოხატავს საკუთარ პოზიციას და ამყარებს არგუმენტებით (2 ქულა)
- საუბრობს გამართული სალიტერატურო ენით და იყენებს შესაბამის ლექსიკას (2 ქულა)
- ადგენს და იყენებს მოკლე ჩანაწერს (გეგმა) (2 ქულა)
- საუბრობს თანმიმდევრულად და მხოლოდ კონკრეტულ თემაზე (2 ქულა)
- იცავს დროის ლიმიტს (2 ქულა)

დამოუკიდებელი სამუშაო

- ავლენს დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, პოულობს პრობლემის გადაჭრის მართებულ გზას (3 ქულა)
- სიზუსტით აღწევს დასახულ მიზანს (4 ქულა)
- იცავს წერის კულტურას (2 ქულა)
- იცავს დროის ლიმიტს (1 ქულა)

პრეზენტაცია

- თემა პასუხობს სათაურს (2 ქულა)
- საუბრობს გამართული სალიტერატურო ენით და მკაფიოდ აყალიბებს აზრს. იყენებს მიმიკას, ინტონაციას ფლობს აუდიტორიას (3 ქულა)
- მოიპოვებს და იყენებს განსხვავებულ წყაროებს, დამხმარე მასალას/ლიტერატურას თვალსაჩინოებებს (3 ქულა)
- იცავს დროის ლიმიტს (2 ქულა)

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები ინგლისურში

ზეპირმეტყველება

კრიტერიუმების ბადა შემაჯამებელი ზეპირი დავალებისათვის	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
იცავს დროის ლიმიტს	0 - 1
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს	0 - 1
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
თანამიმდევრულად აღწერს/გადმოსცემს მოქმედებებს	0 - 1
განსაზღვრავს მოქმედების დროსა და სივრცეს	0 - 1
ენობრივი უნარ-ჩვევები	
იყენებს ნასწავლი დროის გამომხატველ გრამატიკულ კონსტრუქციებსა და ენობრივ ფორმებს	0-2
ადეკვატურად იყენებს ზმნის წარსული დროის გამომხატველ ფორმებს	0 - 1
იყენებს ნასწავლ ლექსიკას	0 - 1
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
ავლენს ფანტაზიის უნარს, ორიგინალურობას	0 - 1
იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით	0 - 1
ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10	

თემა

კრიტერიუმების ბადა წერითი დავალებისათვის	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
იცავს სიტყვების რაოდენობის ქვედა ზღვარს	0 - 1
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (წერს მოცემულ ბიოგრაფიულ ცნობარზე დაყრდნობით; იყენებს მითითებულ კონსტრუქციას)	0 - 1
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
გასაგებად და თანამიმდევრულად გადმოსცემს ინფორმაციებს	0 - 2
აზუსტებს, როდის რა მოხდა	0 - 2
ენობრივი უნარ-ჩვევები	
იყენებს დროის გამომხატველ ნასწავლ გრამატიკულ კონსტრუქციებს, ფორმებს	0 - 2
იყენებს ნასწავლ ლექსიკას	0 - 1
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით	0 - 1
<i>ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10</i>	

ტესტი

ქულა	როგორ პასუხობს ნაწერი მოცემულ დავალებას და როგორ არის დაცული გრამატიკულ - ლექსიკური სიზუსტე. თითოეული საკითხი ფასდება 1 ქულით.
10	ნაწერი ძალიან კარგია, დაშვებულია მხოლოდ 1-2 შეცდომა.
9	ნაწერი კარგია, დაშვებულია მხოლოდ 3-5 შეცდომა. უმნიშველოა შეცდომები მართლწერაში.
8	ნაწერი კარგია. დაშვებულია რამდენიმე გრამატიკული და ლექსიკური შეცდომა.
7	ნაწერი დამაკმაყოფილებელია. დაშვებულია შეცდომები. შეცდომებია მართლწერაში. ტექსტი ნაწილობრივია გაგებულნი.
6	ნაწერი საშუალოა, დაშვებულია 10-12 შეცდომა. არის შეცდომები მართლწერაში.
5	ნაწერი საშუალო დონეზეა შესრულებული. საკითხთა ნახევარზე მეტი შეცდომითაა შესრულებული.
4	ნაწერი საშუალოზე დაბალ დონეზეა შესრულებული. დაშვებულია 18-20 შეცდომა.
3	ნაწერი სუსტია. დაშვებულია ბევრი შეცდომა გრამატიკულ და ლექსიკურ დავალებებში. ტექსტი არაა გაგებულნი.
2	ნაწერი სუსტია, მოცემული საკითხების ნახევარზე მეტი შეცდომითაა გაკეთებული .
1	მხოლოდ რამდენიმე (2-3) სწორი პასუხია, დანარჩენი შეცდომითაა შესრულებული ან საერთოდ გამოტოვებულია.
0	არცერთი პასუხი არ არის სწორი, ან საერთოდ არაფერი არ აქვს დაწერილი.

პროექტი

კრიტერიუმები	ქულა
საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიცირება)	1
კვლევების/ნაშრომის წარმოჩენის უნარი	1
შემოქმედებითი უნარი	1
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება	1
თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)	1
საუბარი (გამართულობა, ტემბრი)	1
თვალსაჩინოებების გამოყენება	1
აუდიტორიასთან კონტაქტი	1
ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)	1
დროის ლიმიტის დაცვა	1
ჯამი	10

დისკუსია

- წარმოადგენს საკუთარ (ჯგუფის) პოზიციას (1 ქულა)
- მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს (1 ქულა)
- მსჯელობს არგუმენტირებულად (1 ქულა)
- აკეთებს დასკვნას (1 ქულა)
- მოყავს არგუმენტები საკუთარი აზრის გასამყარებლად (1 ქულა)
- მსჯელობს თანმიმდევრულად, შემოიფარგლება კონკრეტული თემით (2 ქულა)
- ფლობს აუდიტორიას (1 ქულა)
- კორექტულია ოპონენტის (განსხვავებული აზრის) მიმართ, ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს (2 ქულა)

პრეზენტაცია

- თემა პასუხობს სათაურს (2 ქულა)
- საუბრობს გამართული სალიტერატურო ერთი და მკაფიოდ აყალიბებს აზრს. იყენებს მიმიკას, ინტონაციას ფლობს აუდიტორიას (3 ქულა)
- მოიპოვებს და იყენებს განსხვავებულ წყაროებს, დამხმარე მასალას/ლიტერატურეს, თვალსაჩინოებებს (3 ქულა)
- იცავს დროის ლიმიტს (2 ქულა)

დამოუკიდებელი სამუშაო

- ავლენს დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, პოულობს პრობლემის გადაჭრის მართებულ გზას (3 ქულა)
- სიზუსტით აღწევს დასახულ მიზანს (4 ქულა)
- იცავს წერის კულტურას (2 ქულა)
- იცავს დროის ლიმიტს (1 ქულა)

ტექსტზე მუშაობა

- აყალიბებს ძირითად პრობლემას (2 ქულა)
- საუბრობს ტექსტში გამოთქმული მოსაზრებების შესახებ (2 ქულა)
- გამოხატავს საკუთარ აზრს. გამოთქვამს ვარაუდებს და ასაბუთებს საკუთარი არგუმენტებით (2 ქულა)
- აკეთებს ჩანაწერებს (1 ქულა)
- ამოიწერს უცხო სიტყვებს შემდეგი განმარტებებისა და დამუშავებისთვის (1 ქულა)
- აკეთებს დასკვნას (2 ქულა)

რუსული ენა

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები

ზეპირმეტყველება

კრიტერიუმების ბადე შემაჯამებელი ზეპირი დავალებისათვის	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
იცავს დროის ლიმიტს	0 - 1
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს	0 - 1
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
თანამიმდევრულად აღწერს/გადმოსცემს მოქმედებებს	0 - 1
განსაზღვრავს მოქმედების დროსა და სივრცეს	0 - 1
ენობრივი უნარ-ჩვევები	
იყენებს ნასწავლი დროის გამომხატველ გრამატიკულ კონსტრუქციებსა და ენობრივ ფორმებს	0-2
ადეკვატურად იყენებს ზმნის წარსული დროის გამომხატველ ფორმებს	0 - 1
იყენებს ნასწავლ ლექსიკას	0 - 1
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
ავლენს ფანტაზიის უნარს, ორიგინალურობას	0 - 1
იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით	0 - 1
<i>ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10</i>	

თემა

კრიტერიუმების ბადა წერითი დავალებისათვის	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
იცავს სიტყვების რაოდენობის ქვედა ზღვარს	0 - 1
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (წერს მოცემულ ბიოგრაფიულ ცნობარზე დაყრდნობით; იყენებს მითითებულ კონსტრუქციას)	0 - 1
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
გასაგებად და თანამიმდევრულად გადმოსცემს ინფორმაციებს	0 - 2
აზუსტებს, როდის რა მოხდა	0 - 2
ენობრივი უნარ-ჩვევები	
იყენებს დროის გამომხატველ ნასწავლ გრამატიკულ კონსტრუქციებს, ფორმებს	0 - 2
იყენებს ნასწავლ ლექსიკას	0 - 1
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით	0 - 1
<i>ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10</i>	

ტესტი

ქულა	როგორ პასუხობს ნაწერი მოცემულ დავალებას და როგორ არის დაცული გრამატიკულ - ლექსიკური სიზუსტე. თითოეული საკითხი ფასდება 1 ქულით.
10	ნაწერი ძალიან კარგია, დაშვებულია მხოლოდ 1-2 შეცდომა.
9	ნაწერი კარგია, დაშვებულია მხოლოდ 3-5 შეცდომა. უმნიშველოა შეცდომები მართლწერაში.
8	ნაწერი კარგია. დაშვებულია რამდენიმე გრამატიკული და ლექსიკური შეცდომა.
7	ნაწერი დამაკმაყოფილებელია. დაშვებულია შეცდომები. შეცდომებია მართლწერაში. ტექსტი ნაწილობრივია გაგებული.
6	ნაწერი საშუალოა, დაშვებულია 10-12 შეცდომა. არის შეცდომები მართლწერაში.
5	ნაწერი საშუალო დონეზეა შესრულებული. საკითხთა ნახევარზე მეტი შეცდომითაა შესრულებული.
4	ნაწერი საშუალოზე დაბალ დონეზეა შესრულებული. დაშვებულია 18-20 შეცდომა.
